ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 30 მარტის სხდომის

ოქმი N 6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 30 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა კენჭი უყარა წინადადებას, რომ ცვლილება შევიდეს დღის წესრიგში და დაემატოს საკითხი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის პერსონალის დამტკიცების შესახებ. საბჭოს წევრები წინადადებას ერთხმად დაეთანხმნენ.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე
2. საპატიო დოქტორის არჩევის შესახებ
3. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
4. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის პერსონალის დამტკიცების შესახებ
5. სამაგისტრო და საბაკალავრო თემების დამტკიცება
6. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის 23 მარტის ოქმი 2018 წლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (სია - იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა 2018 წლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე მიენიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი 2018 წლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს (სია - იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – საპატიო დოქტორის არჩევის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ფაკულტეტის დეკანმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ მათემატიკის დეპარტამენტზე გაიმართა პროფესორთა სხდომა, სადაც დაადგინეს შუამდგომლობა გაუწიონ გიოტინგენის გეორგ-ავგუსტის უნივერსიტეტის (Georg-August University of Goettingen) პროფესორებს რალფ მაიერს და ინგო ვიტს, რათა მათ მიენიჭოთ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. სხდომის ოქმი, ასევე მასალები გერმანელი პროფესორების შესახებ წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს (იხ. დანართები 2).

ბატონმა რამაზმა მოკლედ ისაუბრა თსუ საპატიო დოქტორობის კანდიდატების შესახებ, შემდეგ კი სიტყვა გადასცა პროფესორ უ.გოგინავას. მან აღინიშნა, რომ 2018 წლის იანვარში აკრედიტაცია მიიღო თსუ უცხოენოვანმა საერთაშორისო სადოქტორო პროგრამამ მათემატიკაში. ქართველ პროფესორებთან ერთად ამ პროგრამის ხელმძღვანელები გერმანიიდან არიან პროფესორები რალფ მაიერი და ინგო ვიტი. სადოქტორო პროგრამა შემუშავებული იქნა ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინასებული პროექტის ფარგლებში 2016-2017 წელს. პროფესორები რალფ მაიერი და ინგო ვიტი არსებითად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესსში, რის საფუძველზეც 2017 წლის დეკემბერში სადოქტორო პროგრამის იმპლემენტაციისთვის მიღებული იქნა ფლოკსვაგენის ფონდის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი, დაახლოებით 767 ათასი ევროს ოდენობით, რაც ძირითადად დოქტორანტებს მოხმარდებათ.
რალფ მაიერი და ინგო ვიტი დისტანციურად აქტიურად არიან ჩართული პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში. აღსანიშნავია, რომ მათი ხელმძღვანელობით უკვე ორმა ქართველმა მიიღო დოქტორის ხარისხი, რომელთგან ერთმა მიიღო თსუ-ს და გოტინგენის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხი, ხოლო მეორემ მხოლოდ გოტინგენის უნივერსიტეტის. ამჟამად კიდევ სამი ქართველი დოქტორანტი მუშაობს გოტინგენის უნივერსიტეტში რალფ მაიერის ხელმძღვანელობით, ხოლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ 10 დოქტორანტის მომზადება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ბ.თუთბერიძემ. იგი დაინტერესდა, აღნიშნული პროფესორები საქართველოში თუ იმყოფებოდნენ ადრე, რაზეც პროფ. უ.გოგინავამ უპასუხა - რამდენჯერმე იმყოფებოდნენო. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა თ.ლეჟავამ, კ.გელაშვილმა. ეს უკანასკნელი დაინტერესდა - თუ არსებობს ზოგადი კრიტერიუმები, რაშიც ვანიჭებთ თსუ საპატიო დოქტორის წოდებას, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ, პროფ. რ.ხომერიკმა უპასუხა, რომ, როგორც წესი, ეს წოდება ენიჭებათ თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის გიოტინგენის გეორგ-ავგუსტის უნივერსიტეტის (Georg-August University of Goettingen) პროფესორებისათვის რალფ მაიერისა და ინგო ვიტისათვის თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის გიოტინგენის გეორგ-ავგუსტის

უნივერსიტეტის (Georg-August University of Goettingen) პროფესორებისათვის რალფ მაიერისა და ინგო ვიტისათვის თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ორი ცვლილება:

ა) ცვლილება სადოქტორო პროგრამაში "მათემატიკა" - პროგრამის ხელმძღვანელების სიიდან ამოღებულ იქნენ მოწვეული პროფესორები გეტინგენის (გერმანიის) უნივერსიტეტიდან: რ. მაიერი, ა. შოებერი, ა. შტურმი.

ბ) ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში "გამოყენებითი მათემატიკა" - სამაგისტორ პროგრამაში ჩაიწეროს: სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. უცხოელი ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება შესრულდეს უცხო ენაზე. ამ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ახლდეს გაფართოებული ანოტაცია ქართულ ენაზე (იხ. დანართი 3). ქალბატონმნა მაგდამ ასევე აღნიშნა, რომ ეს საკითხი გაიარეს იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად და დასაშვებია წარმოდგენილი ფორმულირებით.

აზრი გამოთქვეს: ა) სადოქტორო პროგრამა "მათემატიკის" კოორდინატორმა, პროფესორმა თ.თადუმაძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული უცხოელი პროფესორები პროგრამის საპატიო ხელმძღვანელებად იყვნენ მოწვეული. ამჟამად ამის საჭიროება აღარ არსებობს, რადგან ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის შექმნის შემდეგ მათი ნაწილი ამ უკანასკნელში იღებს მონაწილეობას.

ბ) პროფესორებმა დ.ძიძიგურმა და ა.გამყრელიძემ. ქ-მა დიანამ აღნიშნა, რომ ქართულენოვან პროგრამაში მიზანშეწონილია ნაშრომი ქართულად იყოს შესრულებული, ხოლო ბ-მა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ რადგან ნაშრომის დაცვა აქ ხდება, საბჭოს წევრები ვალდებულები არ არიან უცხო ენაზე წაიკითხონ ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში.

კენჭისყრის შედეგები: ა) მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.
ბ) მომხრე - 0, წინააღმდეგი - 28, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ცვლილება სადოქტორო პროგრამაში "მათემატიკაში" ;

ბ) სამაგისტრო პროგრამაში "გამოყენებითი მათემატიკა" წარმოდგენილი ცვლილება არ შევიდეს.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის პერსონალის დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, ასოცირებული პროფესორის კახაბერ ბილაშვილის განცხადება, სადაც იგი ითხოვს ინსტიტუტის პერსონალის დამტკიცებას შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით ანაზღაურების გარეშე. ინსტიტუტის თანამშრომელთა სია თანამდებობებისა და მოვალეობების მითითებით განცხადებას თან ერთვის (იხ. დანართი 4.1-4.2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალი შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით ანაზღაურების გარეშე (სია იხ. დანართი 4,2).

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - სამაგისტრო და საბაკალავრო თემების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, ასევე ჯგუფური პროექტის თემები შემდეგი პროგრამებიდან: ქიმია, კომპიუტერული მეცნიერება, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, გეოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ზ.სეფერთელაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, ასევე ჯგუფური პროექტის წარმოდგენილი თემები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი